

რომ მარტიროზი ველარას დაგვაკლებსო. მართალიც არის, რამდენიც მარტიროზი მოინდომებდა თავის ფულგების გასაღებას, იმდენი წინ გადაეღობებოდნენ ხოლმე სხვა-და-სხვა დაბრკოლებანი, მაგრამ ამ გარემოებათვერ შეაშინეს იგი. იმან შეიტანა საჩივარი ოლქის სასამართლოში, მოსპო იჯარის პირობა შორლანოვისა სოფლისთან, რომელიც განგებ ყოფილიყო დაწერილი, რომ მამულს ფასი დაჰკლებოდა. ამნაირადვე მოსპო მარტიროზმა სხვა-და-სხვა პირობანი და ნასყიდობანი ტერ-მიკირტიჩიანის კერძისა და შორლანოვის შორის; ყველა ესენი განგებ დაწერილი და უკანონოები გამოდგნენ. სხვათა შორის ამ დავის დროს გამოჩნდა, რომ ბ. შორლანოვი არც ისეთი უნაგარო გულ-შემატყვიარი ყოფილა ტერ-მიკირტიჩიანის კერძისა, როგორც იგი ამტკიცებდა: ამ დავისათვის საჭირო ფულსა ჰხარჯავდა შორლანოვი, და ნაცვლად იგირადება სოფლის მამულს, ართმევდა მას ვექსილებსა და ბარათებს. ასე რომ მოიგებდა, თუ წააგებდა მიკირტიჩიანის კერძი საქმეს, შორლანოვი მაინც თავისას არ ჰკარგავდა: ამას ამტკიცებენ ის ვექსილები და ბარათები თითქმის 20,000 მანათამდის სოფლისაგან ხელ-მოწერილები, რომელნიც ეხლაც შორლანოვს აქვს შენახული.

ამნაირად, როგორც ზევითაცა ვსთქვი, მარტიროზ მიკირტიჩიანსა გაუქარწყლათ შორლანოვსა და მის ამხანაგებს იმედები, და დღეს თუ ხვალ დევებატონებოდა მიკირტიჩიანის კერძის მამულს. რაღა უნდა ექნათ ამათ? ბევრი იფიქრეს ამაზედ და შემდეგ გადაწყვიტეს, — ეხლა ისლა დაგვრჩენია, რომ თითონ გირავენობა მარტიროზისა უნდა გავაცხოვროთ, გავაქარწყლოთო. ამ აზრითა მათ დაუწყეს რუსულ ენაზედ თარგმნა მარტიროზის წერილებს თავის ძმას შორსტოფორესთან. ამ წერილებში ზოგიერთ ადგილას ავტორი ვაკიცხვით იხსენიებს კანონებს, კანონების აღმასრულებელთ და სხვათა. ჰველა ეს ადგილები წითელი მელნით დანიშნეს; ამით უნდოდათ შეეშინებინათ მარტიროზ ტერ-მიკირტიჩიანს, რომელიც მათ პოლიტიკურ დამნაშავედ გამოიყვანეს. ამას გარდა ეს წერილები იმათ სხვანაირადც გამოიყენეს...

იმ ყამად 1880 წელს ზაფხულში ტერ-მიკირტიჩიანის კერძის სოფლისთან მოვიდა აკულისელი მცხოვრებელი მინას ტერ-შმოვანოვი, მარჯვე კალიგრაფი, გამოცდილი მწერალი ყალბი ბათილამებისა. ტერ-შმოვანოვმა გამოუცხადა მას, რომ მე შემოიძლიან შევადგინო ისეთი დოკუმენტები, რომელნიც ერთს წამში მოსპობდნენ მარტიროზის გირავენობის ფურცლების ძალასაო.

ჭერივმა სოფიომ ეს ამბავი გადასცა შორლანოვს და სემიონოვს და ამათ ერთად გადასწყვიტეს, რომ ტერ-შმოვანოვის წინადადება მივიღოთო

და ისე-კი მოვხებოხით, რომ ყველაფერში კანონის წესები დავიცვათო. ამისათვის მათ დაარჩევს ტერ-შმოვანოვი, მასზედ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი. მათი დარიგებით ტერ-შმოვანოვი მოვიდა ტერ-მიკირტიჩიანის კერძის სახლში, საცა იმ დროს მიწვეულნი იყვნენ სხვა-და-სხვა პირნი, და გამოაცხადა, რომ მე აკულისში შენახული მაქვს რაღაცა დოკუმენტები თქვენი საქმის შესახებო, რომელნიც განსვენებულმა შორსტოფორემ გადმომცაო, თუ თქვენ გზის ფულს მომცემთო მე წაეღო და ჩამოვიტანო. — ამაზე ყველას თანხმობა გამოეცხადებინათ შმოვანოვისთვის და მიეცათ იქვე 150 მანათი საგზაოდ. შორლანოვს დევმატებინა, რომ თუ დოკუმენტები კარგები გამოდგნენ, მაშინ 10,000 მანათს მოეცემთო? ტერ-შმოვანოვი წასულიყო აკულისში თან წველო ნიმუშები მარტიროზის, და შორსტოფორეს მიკირტიჩიანის ხელისა, და შეედგინა ორი ბათილამა მარტიროზ მიკირტიჩიანის მაგიერად; ერთი მასზედ ვითომ მას მარტიროზს მიეღოს კიდევ შორსტოფორე მიკირტიჩიანისაგან 1876 წელს ივლისში 85,700 მანათი და მეორე კიდევ მასზედ, რომ მარტიროზამ უნდა დაუბრუნოს სამის წლის შემდეგ შორსტოფორე მიკირტიჩიანს დაგირავებული მამული და მიიღოს შორსტოფორესაგან მხოლოდ 24,300 მანათი. უკეთუ მარტიროზი ამ პირობას დაარღვევს, მაშინ მან უნდა გადაიხადოს მისი სასარგებლოდ 200,000 მანათი ჯარიმა. შეადგინა თუ არა ეს ბათილამები ტერ-შმოვანოვმა სემიონოვის დარიგებით ნოტარიუსის წესით გადასცა ტერ-მიკირტიჩიანის კერძის სოფლოს და მიიღო შესაფერი ჯილდო. და რაკი ჩაიგდეს ეს დოკუმენტები ხელში შორლანოვმა, მისმა ამხანაგებმა შეატყობინეს მარტიროზ ტერ-მიკირტიჩიანს, რომ თუ არ მოგვირიგდი მაშინ შენი საქმე ცუდად იქნებაო, იქნება შენც იქ დაგაღრიონ, საცა წულუკიძე დაახრჩესო. მართლაც ძალიან შეაშინეს მარტიროზი, მთელი ქალაქი დაპარაკობდა იმის უსენილისო ქცევაზედ, მასზედ რომ იგი უსამართლოდ ართმევს თავის რძალს ქრმისაგან. ღარჩენილს მამულსაო. მრთ დროს ისე გაუჭირეს საქმე, რომ იგი შინიდან გარედ ვერ გამოდიოდა სირცხვილისაგან. მაგრამ იგი მაინც არ შაშინდა და არ შეუერიგდა თავის რძალსა. ამის ვექილმაც ბ. სემიონოვმა აიღო და საჩივარი გამოუცხადა მარტიროზს 200,000 მანათზედ. ამ საჩივარს სემიონოვი აფუძნებდა ზემოხსენებულს ორს ბათილამაზედ, მაგრამ ამ საქმის გარჩევის დროს 1881 წელს, იანვრის 31 ოლქის სასამართლომ იცნო ეს ბათილამები ყალბად, და მაშინვე მათ დამწერად და შემდგენად დაასახელეს აკულისის მცხოვრებელი მინას ტერ-შმოვანოვი. ღაიბარეს მინას ტერ-შმოვანოვი, გამოჰკითხეს; იგი ჯერ უარს ამბობდა დამნაშავეობაზედ, მე-

რე კი როცა ცხადდ დაამტკიცეს იმ ბათილამების სიყალბე ქიმიური ანალიზითაც, ექსპერტებმაც, მოწმებმაც, მაშინ ტერ-შმოვანოვი გატყდა, აღვიარა ყველაფერი როგორც იყო და გამოაცხადა, რომ ტერ-მიკირტიჩიანის კერძის, შორლანოვის და სემიონოვის დარიგებითა ჩაეიღინე ეგ საქმეო.

(გაგრძელება შემდეგ)

**როსტომავილის მოსარჩლე
კორმასონდენტს**

წერილა ზედაქვეის დმი.

(დასასრული*)

ბ) ღარიბ ხალხისათვის ქაღების სკოლის დაფუძნება.

აზრი ღარიბ ხალხისათვის ქაღების სკოლის დაფუძნებისა დაიბადა დიდი ხნით, როსტომავილის წინად, ერთი მხრივ სომეხთა საქაღებო სკოლის გამო და მეორეს მხრივ თელავის წმიდა ნინოს ქაღების „ზავედნიაში“ ადგილის უქონლობისა, სწავლების ფასის სიძვირისა და სხვა და სხვა მოთხოვნილების აუსრულებლობისა გამო ღარიბებისათვის. საზოგადოებას ძრიელ ჰსურდა მოეხერხებინა ამ ნაირი სკოლის გახსნა, საფუძვლიან ნიადგზე დაყენება და ღარიბთათვის შესაფერი პროგრამის შემუშავება საზოგადო საქმე, როგორც ყოველთვის, გრძელდებოდა და საქმე კი ითხოვდა სკოლასა. აი, აქ როსტომავილმა უთხრა საზოგადოებას, რომ მე გავხსნი, თქვენ შემეწიენით, დეაარსოთ და მერე საზოგადო კუთვნილებად გავხადოთ ოფიციალურადცაო. ამამში დიად, ღირსია ქებისა ბ. როსტომავილი, რომ მოინდომა საზოგადოების სურვილის განხორციელება და ამ მოწოდების შემდეგ, ესე იგი სკოლის დაარსებამდგან დღევანდლამდის რა ქების ღირსიც არის, საქმე გამოაჩენს ბ. როსტომავილმა საზოგადოების სურვილის გამო და იმიხვე იმედით აიღო ნება-რთვა მთავრობისაგან, გახსნა სკოლა, შეჭკრიბა ქაღები, დაუნდა თვეში სულზე ათი შაური, წელიწადში ექვსი მანათი და დაიწყო სწავლება ერთი მასწავლებლის საშუალებით, ასე რომ აქ როსტომავილი იყო იარაღი და არა მომქმედი მარჯვენა. საზოგადოებას ჰქონდა ზნეობითი ნება და აქვს, რომ ეს სკოლა იმის სურვილის გამო დაფუძნებული, საზოგადო საკუთრებად ჩათვალნა და არა ისეთ სკოლად, როგორცა აქვს აქა ბ. სტეფანოვს, აგრეთვე კიდევ თბილისში რეცოლდს, ტერ-აკოფოვს, მონასტირცევსა და სხვათა. ამისათვის რამდენმამე კერძო პირთ, გასაუმჯობესებლად სკოლისა, ვიდრე საზოგადო სახელი ეწოდებოდა და ვიდრე ჯეროვანი წყარო აღმოუჩნდებოდა ამ სკოლას, მოინდომეს კერძოდ დახმარება ფულის და სწავლის მხრივ; ამოიჩინეს ხუთი კაცი და იმათ თვითონ როსტომავი-

* (იხილე „დროება“ № 108.

ლისავე თანხმობით მიანდეს ფულის მოგროვება თავიანთ შორის და სწავლის მხრივ სკოლის სწავლის გდება. რადგანაც საზოგადოებამ ექვსი აუტურებდა ბ. როსტომავილს, რომ იგი ფულის გულისათვის განზე არ გამდგარიყო, ამისათვის მოაწერეს ხელი იმ კერძო პირთ და მოაწერინეს ხელი როსტომავილს შემდეგს ხელწერილზე: „ჩვენ, — ამანა-და-ამან, — (აქ როსტომავილიც გახლავთ მოხსენებული) განვიხილეთ რა სკოლის საქმე, საჭიროდ ვსცანით ორი მასწავლებლის დაჭერა და მათთვის თვეში ოც-ოცი მანათის მიცემა, ნახევარი სკოლის სპეციალური შემოსავლიდამ და ნახევარიც ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერელთ უნდა მივსცეთ. მარდა ამისა ჩვენ ვირჩევთ ხუთს ამანა-და-ამ პირს, რომელთაც უნდა იზრუნონ სკოლის წარმატებისათვის, როგორც სწავლისა, ისე ეკონომიურის მხრით... მს ადგილი იმ ხელწერილიდამ მოყვანილი, რომელზედაც როსტომავილს უწერია ხელი ცხადად გვაჩვენებს, ან ვისი დაფუძნებულია სკოლა, ან რა წადილით მს ხელწერილი საქმედ გარდაიქცა: დაიქირავეს მეორე მასწავლებელი, შეიწერეს თვითური გადასახადი კერძო პირთ, გამართეს ლოტარეები, დაადეს ლოტოს მოთამაშეთ ხარკი სკოლის სასარგებლოდ, გაიმართა წარმოდგენა არამც თუ თელავში, სოფელს აწყურშიაც და ამ ნაირად მოახმარეს სკოლას ავეჯით, თუ მასწავლებლის ჯამაგირით 450 მან., ამ ფულში 90 მან. ლოტერიისა, 30 მან. ლოტოს მოთამაშეთაგან შემოვიდა, 30 მ. ბაღლოვმა და ა შესწირა სკოლას, 27 მან. და 60 კ. ბ. შვანგირაძემ შესწირა, რომელმაც სკოლის სასარგებლოდ ტიკინთა წარმოდგენა გამართა, 26 მან. და 50 კაბ. თელავის შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ შესწირა, ხოლო დანარჩენი 245 მან. და 90 კაბ. იმ კერძო პირთ თავიანთ ჯიბიდგან დაახარჯეს სკოლას. მათ ესეთი დახმარება გაუწიეს სკოლას, თავიანთ თავზე ხმის ამოუღებლივ. მარჯვენა ამღვედა, მარცხენა არა გრძნობდა, — როსტომავილმა კი ეს ყოველი, ჩვეულებისამებრ, თვითონ მიიწერა, დაიწყო სკოლაში რაღაც პაპა-მამამა-შობა და ნაჩაღნიცობა, მალალ-ქუსლობა, კულის ქნევა, თვალების პრანკვა, ერთი სიტყვით ყველა ის, რასაც ვრიდებოდნენ, რაც ვზიზღებოდით და, რაც არ შეჭფეროდით და არც არ გებდა ღარიბთა შეილებსა. ამას ზედ დაერთო მასწავლებელთა შორის უთანხმობა, რომელიც უკიდურესობამდე მივიდა და რომელშიაც როსტომავილმა დიად შესაფერი ადგილი დაიქირა. ამორჩეულთ პირთ იფიქრეს, რომ სწავლების შესახებ როსტომავილთან გამოლაპარაკება საჭიროაო და მიჰმართეს მას: თქვენ, ივანე პაე-ლეს-ძე, უთხრეს ამორჩეულებმა, სამოქალაქო სკოლაში დღემო ოთხი გაკვეთილი გაქეთ, გარდა ამისა გიმნასტიკას ასწავლით და ამისათვის სრულებით მოცალეება არა გაქეთ მი-

ხელთ სწავლის დროს საქალებო სკოლას, რომელსაც ეჭირებოდა იმ გაღმავალი გზიდან, რომელსაც ამ უკანასკნელ დროს დაადგა, სწორედ გზაზე დაყენება. ჩვენის აზრით, დაუმატეს ამორჩეულებმა, სკოლას ზნეობითი და სწავლის მხრივ წაშალა მინებისათვის ესა და ეს არის საჭირო და რადგანაც თქვენ არა გცალიანთ, თქვენისავე თანხმობით, ჩვენ შევეუდგებით საქმეს. როსტომაშვილმა ცივად უპასუხა, რომ არ გიცნობთ თქვენაო, თქვენი საქმე, როგორც მასხოვს, მარტო ის არის, რომ ფული შეგკრიბოთ და მადლიოთო. ამორჩეულები გამოელაპარაკნენ ამ საქმეზე ამორჩეველებსა, უკანასკნელებს არა სჯეროდათ პირველთაგან ნათქვამი. მანამ თვალთ არ დაინახეს და ყურით არ გაიგონეს. რა დაინახეს თვალთ, როგორ გგონიათ თქვენა, ბ. ავტორო, დაინახეს უსტარი როსტომაშვილისაგან ამორჩეველებისადმი მოწერილი და ყურით გაიგონეს უსტარის შემდეგი შინაარსი: „ვერ ვიხსენებთ და რაც შეეხება თქვენ მიერ დადგენილ კითხვებს, ამაზე აქვე მოგახსენებთ მოკლედ შემდეგ; ა) ჩემის ფიქრით ამორჩეულების მოვალეობა მხოლოდ ნივთიერი მოპოება და დახმარებაა და ამიტომ ამაო იქნება ყოველი ლაპარაკი ამორჩეულების სხვა უფლებათა განსაზღვრაზე. ზერ-ჯერობით ვერაფერს და ვერაფერს ვხედავ იმისთანას, რომ ჩემგან დაწყობილი საქმის ბედი შეეძლოს მკვიდრად და მოუშლელად დაადგინოს და აწარმოვოს; გაცნობებთ იმასაც, რომ თელავში სდგება ეგრედწოდებული ტენიკო-აგრონომიული ცოდნის გამგრძელებელი საზოგადოება და ჩემ სკოლასაც იმ საზოგადოებას გარდაეცემ რაც შეეხება მასწავლებელთა უთანხმოებას ერთმანეთში, ბავშვები არ არიან და თვითონ მოზრდებიან“. ეს განლავეთ სიტყვა-სიტყვით რაც თვის ყურით გაიგონეს ამორჩეველებმა რას იტყვი, ბ. ავტორო, ამ ორ წერილზე? მგონებ, ეს წერილები საკმაო იყოს, რომ სინათლე მოჰფინოს საქმესა. ბ. როსტომაშვილი ერთი ხელ-წერილით ამორჩეველთ და ამორჩეულთ აძლევს პირობას და მეორე წერილით უარს ამბობს პირობაზე. წარმოიდგინეთ, თუ წერილით უარს ამბობს, რა რწმუნება უნდა ჰქონდეს იმის სიტყვიერ პირობასა. თქვენ კარგად უწყით, რომ საზოგადო საქმის მოღვაწეთა შორის ნოტარიული ოქმები არ იხმარება და თითქმის მთლად მიცემულ სიტყვაზე დამყარებული საქმე. რასაკვირველია, ბევრი ლიტონი სიტყვა სჯობია როსტომაშვილის ხელ-წერილებსა.

ამორჩეველები, თუმცა თავიანთ თვალთ და ყურით დაწმუნდნენ საქმეს წერილის გამო, მაგრამ მაინც იმედს არა ჰკარგავენ, ეგონათ ბ. როსტომაშვილი სხვა მდგომარეობაში იქნებოდა უსტარის დაწერის დროსა და იქნება ახლა სხვა ნაირად ფიქრობდესო. ამორჩეველებმა პირისპირ დაუწყეს ლაპარაკი ბ. როსტომა-

შვილს. მართალია, ჩვენში მკირე რამ უთანხმოება მოხდა, მაგრამ, ნათქვამია, „ძმამ ძმას ანგარიში უყო, ისეც ძმანი იყენნო“, ჩვენც მოვიფიქროთ, ავწონოთ საქმე და ისე მოვიქცეთ როგორცა სჯობდესო. როსტომაშვილმა უპასუხა ამორჩეველებს სწორედ ამ სიტყვებით: „არც ერთი სინილისიანი პირი არ იზამს იმას, რასაც შერებთან ამორჩეულები: მაგათ უნდათ გაერივნენ სწავლების მხრივ სკოლის საქმეში“ და სხ. და სხვ. დაუწყეს დარწმუნება, რომ იგი, როსტომაშვილი თავის აზრში შემდარია და პირობაზეც უსამართლოდ უარს ამბობს; რომ სკოლის და საზოგადოების გულისათვის სამჯობინოა, რამდენიმე პირი იყოს ზედამხედველი და ანგარიში სკოლის შესავალ-გასავლისა საზოგადოდ ცნობილი. ბევრი საბუთები წარუდგინეს ამორჩეველებმა, მაგრამ ეს საბუთები ცერცვივით არ უდგებოდა ბ. როსტომაშვილსა. რაკი საბუთებზე პასუხი ვეღარ აგო, მიჰყო პირი და უშვერი სიტყვებით გამოლანძღა მოსაუბრენი, რომელთაგან ზოგნი ვარემ პირნი იყვნენ, როგორც მაგალითად გამომიხელები ბ. ან—ლი და ექიმე ბ. ბ—ლი; ეს ორნი ყველაზე ბევრთად ამტყუნებდნენ ბ. როსტომაშვილსა და თქვენთვის კი ის შემოუჩივლია, ბ. ავტორო, ვითომც „ფიხტე-კანტები“ ამტყუნებდნენ მარტო. რატომ არა ჰკითხეთ ეს შიხტე და ძანტი რად ეჯავრება? იქნება ანდაზა „ხურმა რა ხილია“ ზედ გამოჭრილი იყოს და იმისათვის ეჯავრებოდეს. თქვენთვის უთქვამს ბ. როსტომაშვილსა, მე მზადა ვარ გადავცე სკოლა საზოგადოებასაო და იქ ამორჩეველებს კი უთხრა, სკოლა ჩემი საკუთრებაა და არამტყუ გადასცემს საზოგადოებას, არამედ იმის ნებასაც არავის მისცემს, რომ სხვა სახელი დაუძახოს ეინმემ იმ სკოლის გარდა „როსტომაშვილის სკოლისა“-ო. ან რა გასაკვირველია, რომ ბ. როსტომაშვილი აგრე მიგჭრელობდეს, როდესაც თავისი ხელ-წერილით მიცემულ პირობაზე უარს ამბობს. თქვენ გეუბნებათ, რომ, ვითომც იმისი სკოლის თხუთმეტი თუმანი შეინარჩუნეს და ამისათვის ეძახით „სამოზვანცებსა“, მეკი, მართალი, რომ ესთქვა, გამოვა, რომ ბ. როსტომაშვილმა შესჭამა საზოგადოების სახელით რამდენიმე ათი თუმანი. არ მინდოდა ეს მეთქვა, და რაკი ესთქვი უნდა ანგარიშიც წარმოვადგინო. სკოლაში იყო არა ნაკლებ 60 მოსწავლისა, იმათგან შემოვიდა თვითოსაგან ექვსი მანათი, სულ 360 მან.; გაიმართა სალიტერატურო საღამო სკოლის სასარგებლოდ და შემოვიდა 40 მ., აწყურის წარმოდგენილად გადმოუტანეს 45 მ.—სულ შეადგენს 445 მან.; ეს ფული თვით როსტომაშვილსა ჰქონდა. დაინარჯა აქედამ 120 მ. მასწავლებელ ქალზე, 40 მ. მეორე მასწავლებელზე, 84 მ. სახლის ქირაზე, (თუმცა სახლი ამდენად არა ღირს) სულ დაინარჯა 241 მ., დანარჩენი 201 მან. რაღა იქნა?

ეს ერთი წლის ანგარიში განლავეთ. რა გასამტყუნარნი არიან ის პირნი, რომელთაც 204 მ. და 10 კ. სხვადასხვა საშუალებით მოჰკრიფეს და 245 მ. 90 კ. თავიანთ ჯიბიდან გამოიღეს და დახარჯეს სკოლაზე, თუ ამ პირთ თხუთმეტი თუმანი კი არა, ათასი თუმანიც, რომ ჰქონდეთ გადაღებული კეთილი საქმისათვის? ნუ თუ ყოველი ამისთანა ფული როსტომაშვილის საკუთრებას შეადგენს? ის პირნი იმასაც ნანობენ, რაც დახარჯეს სკოლაზე, რადგანაც აღმოჩნდა, რომ იგი საზოგადო კი არ არის, ისეთივე საკუთრებაა როსტომაშვილისა, როგორც ტერ-აკოფოვისა და სხვათა სკოლები. „სამოზვანცი“ ისინი კი არ არიან, „სამოზვანცი“ არის ბ. როსტომაშვილი, რომელმაც ისე უპატიოსნად დაისაკუთრა სკოლა, საზოგადოებისათვის, იმისავე სურვილით და შემწობით, დაარსებული. რა ქების ღირსია ის კაცი, რომელმაც ხელ-წერილით მიცემულ და რამდენჯერმე საზოგადოების წინაშე გამოვრებულ პირობაზე უარი სთქვა, იმიტომ, რომ ამ პირობის აუსრულებლობით იგი შეიძინდა წელიწადში რამდენსამე ათ თუმანს? რა ქების ღირსია ის კაცი, რომელიც არავითარ ანგარიშს არ აძლევს საზოგადო საქმეში, იმისთვის, რომ უანგარიშობით რამდენსამე მანათს შეიძინოს და საზოგადოებას კი ეტყვის მე საზოგადო მოღვაწე ვარო? რა ქების ღირსია ის კაცი, რომელსაც თავის სწორად აღარავინ მიაჩნია? „თქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა, არა არს ღმერთი“; აი, რა არის პატივისმოყვარეობა? რა ქების ღირსია ის კაცი, რომელიც ფულით დახმარებისათვის კი ორსავე ხელებს იშვერს და გონებით დახმარებისათვის ყოველნიქს იხმობს? რა ქების ღირსია ის კაცი, რომელიც თავის თავის საქმედად და საღიღებლად თავისავე ხელითა სწერს ტელეგრამებს და კორესპონდენციებს? მანა ამ ნაირი ტელეგრამებით და კორესპონდენციებით მოხვეჭილი პატივი ხან-გრძლივია? ნუ თუ ბ. როსტომაშვილს მართლა თელავში ვეღარავინ უპოვია, რომ ამბობს თავის „ეპისტოლეში“ ვერაფერს ვხედავ იმისთანას ჩემგან დაწყობილი საქმის ბედი შეეძლოს მკვიდრად და მოუშლელად დაადგინოს? მანა ამას იტყვის კეთილ-გონიერი კაცი?

ბ) დამზოგველ-გამსესხებელი ამხანაგობა.

დამზოგველ - გამსესხებელი ამხანაგობის დაფუძნებაზე პირველად აღძრა ლაპარაკი ბ. პოტე მახვილადემ, ამან მოიტანა მბილისიდან წესდება, დაუძახა რამდენსამე პირს თავის სახლში და მისცა წინადადება ამხანაგობის დაფუძნებისა (ამ დროს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთ ჰქონდათ უკვე დაარსებული მასწავლებელთა კასა.) შეკრებილი მიიღეს ღიღის სიამოვნებით მახვილადის წინადადება და იმავე საღამოს შეუდგენ წესდების შემუშავებას, მე

ორე დღესაც იქვე შეიკრიბნენ წესდების შედგენის გაგრძელებისათვის. ნახევარი წესდება შემდგარი იყო, როსტომაშვილმა გაიგო ეს და ისიც სხვებთან ერთად შემდეგში იღებდა მონაწილეობას. წესდება შესდგა, და გაიგზავნა დასამტკიცებლად. მოუვიდათ ნება და დაარსდა ამხანაგობა. მაშ ბ. როსტომაშვილს კი არა, ბ. მახვილადემ უნდა მიეწეროს ამ ამხანაგობის დაარსება. როსტომაშვილმა ისეთივე სიკეთე უყო ამ ამხანაგობას, როგორც დეპოსა, მხოლოდ იმ გარეგნით, რომ დეპოში საქონელი მაინც დარჩა ამხანაგობის, აქ კი, ვგონებ, ცარიელი ვექსილები დარჩება ამხანაგობას ფულის სამაგიეროდ. როსტომაშვილი სხვათა შორის ამორჩიეს გამგეობის წევრად. საზოგადოების გადაწყვეტილებით წევრებად მიღების ნება აქვს ჩივებს. როსტომაშვილმა დაიწყო თვითონ წევრების მიღება და წინ-დაუხედავად ფულის გასესხება. როგორ იღებდა წევრებს? მისაც ფული მოუწოდებოდა, მოვიდოდნენ ამასთან, ის ფულს ასესხებდა, წევრად ჩასწერდა და საწევრო წილის ფულს ნასესხი ფულიდგან აიღებდა. ნათქვამია, „თაფლისათვის ბუზი ბაღდადს წავაო“, გაიგეს, რომ ასე ადვილად შეიძლება ფულის შოვნა, მოაწყდა ხალხი. როსტომაშვილიც ურიგებდა. ჩივამ ორჯერ განუტყადა საყვედური ამისთანა ქცევისათვის, მაგრამ გვიანდა იყო. მართალია, გაჭირებულის ხელის გამართვა კარგი საქმეა, მაგრამ, სხვისა ოფლით, გროზობით დაზოგვილის ფანტეი, წინ-დაუხედავად გასესხებაში-კი, ვგონებ, კარგი არა ურევია-რა. და არცა რა იმისთანა ხელის გამართვა კარგი, თუ იცი რომ რამოდენიმე თვის შემდეგ პრისტავს უნდა შეუძლე თვითონვე იმ გაჭირებულის სახლში, ააწერინო ყოველივე, რასაც იპოვი და გაუყიდო. ჩენი ამხანაგობა თექვსმეტი თვეა, რაც დაიბადა და მგონი ამ მოკლე ხანში ამდენსავე ოჯახს დააწიოკებს ბ. როსტომაშვილის წყალობით. მინ მიიღო ამხანაგად, ბ. ავტორო, ის ქალი, რომლის ავეჯებიც ამ ცოტა ხანში ააწერინა პრისტავს გამგეობის წევრმა მაჰავარიანმა? მინ მიიღო წევრად და ვინ ასესხა ფული იმ კაცს, რომლის ოჯახიც დააწიოკა იმავე წევრმა პრისტავით? მინ მიიღო ამხანაგად და ვინ ასესხა ფული იმ პირს, რომელსაც ახლა გამგეობა დაეძებს და ვერ გაუგია, რომელ მაზრაშია, ანუ გუბერნიაში? თუ მოგესხენებათ, ამ ცოტა ხანშიაც ვნახეთ ერთი სურათი, რომელსაც წარმოადგენდა ბ. როსტომაშვილისაგან ხელის გამართვა და რომელმაც სწორედ ჯოჯოხეთი მომაგონა. აი, რა ღვაწლი აქვს ბ. როსტომაშვილს დამზოგველ-გამსესხებელ ამხანაგობაზე. ეს არა კმარა? ძიღვეაც მოგახსენებთ. ჰეღლამ კარგად იცის, რომ ამისთანა ამხანაგობამ თუ რამდენსამე ხანს, ეიდრე წელში არ გაიმართება, ხელი არ მოეკირა მას, მალე იცის სასაფლაოსაკენ გამგზავრება. ამ აზრს ადგა ჩივია და იმიტომ არ უნ-

